ხელშეკრულება N 68
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 7 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში) (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის პარმენ მარგველიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,იბერია სერვისი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის დავით ჯოხაძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით , ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის კუთვნილი ავტომანქანის შკოდა ოქტავიას (სახ. ნომერი AB916AB) შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა: დანართი N 1-ისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. (CPV კოდი 50100000). დაფინანსების წყარო 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3047 (სამიათას ორმოცდაშვიდი) ლარს.
2.2 მიწოდებული მასალებისა და მომსახურების ერთეულის ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართ N 1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად. დანართი N 1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ ყველა გადასახადს;

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2016 წლის 11 ნოემბრამდე პერიოდი.
3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე -2 კმ.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ ნორმებს;
4.2 გაწეულ მომსახურებაზე და შეცვლილ სათადარიგო ნაწილებზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.
4.2.1 გარანტია არ გავრცელდება თუ დეტალს ან აგრეგატს დაზიანება მიყენებული აქვს არასწორი ექსპლუატაციით.
4.2.2 საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია დაუყონებლივ, შემსყიდველის ზედმეტი დანახარჯების გარეშე, აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი და მისგან გამოწვეული დაზიანება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.
5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სახელმწიფო

რწმუნებულის-გუბერნატორის აპარატის უფროსი.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დარღვევის ან ნაკლის აღმოფხვრა;

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მიწოდებულ მომსახურება, ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, ფორმა უნაღდო. შემსყიდველი ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით;
7.2 ანგარიშსწორება განხორცილდება გაწეული მომსახურებაზე საგადასახადო ანგარიშფაქტურის დადასტურებიდან 5 დღის ვადაში.

8. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების, ასევე ხელშეკრულებაში მითითებული ვადების გადაცდენის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით;
8.2 პირგასამტეხლოს გადახდა ან ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2 ამ მუხლის მიზნებისთვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკებისას მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

13. სხვა პირობები

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე და ინახება მხარეებთან.
13.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნაკისრი ვალდებულებებისგან.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია
(ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა
და ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში)
ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. N 11.
საქართველოს სახელმწიფო ხაზინა,
ს/კ 222938007

რწმუნებული - გუბერნატორი პარმენ მარგველიძე

მიმწოდებელი:

შპს ,,იბერია სერვისი" ს/კოდი 204982359;
ქ. თბილისი,აღმაშენებლის ხეივანი მე-2 კმ.
ს/ს ,,საქართველოს ბანკი" ა/ა GE79BG0000000875689101
კოდი BAGAGE22
ტ. 2 531 963, 2 522 022

დირექტორი: დავით ჯოხაძე

ხელშეკრულება N 68-ის დანართი N 1

ავტომანქანა შკოდა ოქტავიას (სახ. ნომერი (AB916AB) შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ფასების ცხრილი

N	საქონელი	ზომის ერთ.	რაოდენობა	ფასი	ჯამი
1	ძრავის მქნევარა (,,მახავიკი")	ცალი	1	1450.00	1450.00
2	წყლის ,,ტრუბა"	ცალი	1	65.00	65.00
3	ანტიფრიზი 1.5 ლ	ცალი	2	23.00	46.00
4	პლასმასის ,,ტრუპკა"	ცალი	1	15.00	15.00
5	პლასმასის მუფტა	ცალი	1	25.00	25.00
6	,,ფეჩის" პლასმასის მუფტა	ცალი	1	25.00	25.00
6	გამთიში საკისარი" (,,ვიჟიმნოი")	ცალი	1	130.00	130.00
7	თერმოსტატი	ცალი	1	600.00	600.00
8	წყლის ტუმბო	ცალი	1	270.00	270.00
9	პლასმასის მუფტა	ცალი	1	25.00	25.00
	სულ მარაგ. ნაწილები				2051.00

N	მომსახურება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ფასი	ჯამი
1	ძრავის მქნევარას (,,მახავიკი") მოხსნა-დაყენება	ცალი	1	120	120.00
2	წყლის ტუმბოს მოხსნა დაყენება	ცალი	1	240.00	240.00
3	პლასმასის მუფტის მოხსნა დაყენება	ცალი	1	36.00	36.00
	სულ მომსახურება				396.00

1	სულ საქონელი და მომსახურება	3047.00

შემსყიდველი:
სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაცია
(ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა
და ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში).

სახელმწიფო რწმუნებული გუბერნატორი პარმენ მარგველიძე _____

მიმწოდებელი:
შპს ,, იბერია სერვისი"
დირექტორი დავით ჯოხაძე _____